საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს (30.05.2025)

გადაწყვეტილება

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევნების გამოცხადების შესახებ

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭო ადგენს:

1. გამოცხადდეს კონკურსი სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის (შემდგომში - ,,ფაკულტეტი“) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატის შერჩევის მიზნით.
2. კანდიდატთა რეგისტრაცია დაიწყოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში **2025 წლის 9 ივნისის** 10:00 საათიდან ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კანცელარიაში, მისამართი: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №1, ოთახი №207.
3. კანდიდატთა რეგისტრაციის ბოლო ვადად განისაზღვროს **2025 წლის 16 ივნისი,** 17:00 საათი.
4. არჩევნები ჩატარდეს **2025 წლის 20 ივნისს, 14.00** საათზე, ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე ღია კენჭისყრით.
5. არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვთ თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორებსა და ასოცირებულ პროფესორებს.
6. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს:
   6.1 განცხადება ფაკულტეტის საბჭოს სახელზე. განცხადებაში მითითებული უნდა იყოს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თანამდებობის დაკავების მსურველი პირის ვინაობა, საცხოვრებელი მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, ელ.ფოსტის მისამართი, სასურველი თანამდებობის ზუსტი დასახელება.

   6.2 განცხადებას თან უნდა ერთვოდეს:
   ა) ცნობა დაკავებული აკადემიური თანამდებობის შესახებ;
   ბ) ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის განვითარების ოთხწლიანი სამოქმედო გეგმა;
   გ) ავტობიოგრაფია (CV);
   დ) პირადობის მოწმობის ასლი;

ე) ცნობა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახე=-0ოი

7. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატი რეგისტრირებულად ჩაითვლება, თუ იგი წინამდებარე განცხადების მე–3 პუნქტით დადგენილ ვადაში ფაკულტეტის კანცელარიაში სრულყოფილად წარადგენს ამავე განცხადების 6.1 და 6.2 პუნქტებში მითითებულ დოკუმენტაციას.